საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის ბულვარი

Boulevard
BATUMI 1881

GEORGIA
AVTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
BATUMI BOULEVARD

№ 05/05-782

22 დეკემბერი 2015

შ.პ.ს. „აჭარსპეცპროექტი"-ს დირექტორს
ბატონ ჯემალ გოგიტიძეს

ბატონო ჯემალ,

გაცნობებთ, რომ სსიპ „ბათუმის ბულვარის" საკონკურსო კომისიამ განიხილა ქ. ბათუმის ბულვარში, არდაგანის ტბის მიმდებარედ პლაჟის ტერიტორიაზე, ტრანსფორმირებადი უნივერსალური სპორტული მოედნის (კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი) 250 მაყურებელზე საუკეთესო არქიტექტურული პროექტის (კონცეფცია, ესკიზი) გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (კონკურსი N230) თქვენს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გთხოვთ, შეტყობინების თარიღიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა ხელშეკრულების გაფორმება, საკონკურსო კომისია მოახდენს თქვენს დისკვალიფიკაციას.

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე არაუგვიანეს 22 დეკემბრისა.

პატივისცემით,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ივანე ჭეიშვილი

6010, საქართველო, ბათუმი, ქ.გამსახურდიას ქ. 2 TEL/FAX: (+995 222) 78808 6010, 2K.GAMSAXURDIA STR, BATUMI, GEORGIA